
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2009 წლის
25 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:
„როგორ გადავცუროთ ზღვა ევროპისაკენ? –
სახელმწიფო სტრატეგია და ქართული კულტურა“

ძირითადი მომხსენებლები:

დავით დარჩიაშვილი – პარლამენტის ევროპასთან
ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე/ ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა
დავით ზურაბიშვილი – რესპუბლიკური პარტია
ნიკოლოზ ლალიაშვილი – პარლამენტის წევრი/
ქრისტიან-დემოკრატიული პარტია
ზურაბ ქარუმიძე – მწერალი

მოდერატორი: ნინო დანელია

ნინო დანელია – დღევანდელ დისკუსიას ეწოდება „როგორ გადავცუროთ ზღვა ევროპისაკენ? – სახელმწიფო სტრატეგია და ქართული კულტურა“.

ჩვენი მომხსენებლები არიან ბატონები დავით დარჩიაშვილი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის თავმჯდომარე, დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი, ნიკოლოზ ლალიაშვილი, პარლამენტარი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი და მწერალი ზურაბ ქარუმიძე.

თავიდან ბატონ დავით დარჩიაშვილს მოვუსმინოთ, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო ხედვას წარმოგვიდგენს.

დავით დარჩიაშვილი – დასაწყისში ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ ქართული სახელმწიფოს სტრატეგიის წახნაგებზე ევროკავშირთან ურთიერთობასა და ზოგადად, ევროპული მიმართულებით, შემდეგ უკვე გავხილავ და კულტურაზეც ვისაუბრებ.

რაც შეეხება ჩვენს სტრატეგიას, ხშირად გვესმის კრიტიკა თავად ევროპელებისგანაც იმის შესახებ, თუ რა არის ჩვენი სახელმწიფოს კურსი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში. იმიტომ რომ ევროკავშირთან ურთიერთობისას წინა პლანზე იწევს ხოლმე სოციალური და ეკონომიკური სფერო. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად იცის, რომ მთავარია კანონის უზენაესობა, დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ბრიუსელი ამ საკითხებთან მიმართებაში მეტწილად სხვა ინსტიტუტების, ევროსაბჭოს თუ ეუთოს დამოკიდებულებებს ითვალისწინებს. თავად ბრიუსელთან დეტალური მოლაპარაკებები სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარეობს. ამ სფეროში ქართულ პოლიტიკას თუ სტრატეგიას შეიძლება დავარქვათ „დუბაიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამდე“. ხშირად გვესმის იმის შესახებაც, რომ თუ დუბაი და სინგაპური გვიანტერესებს, რა გვინდა ევროპაში. საკითხის ასე დასმაში არის რაციონალური მარცვალი. ეს არის ერთი მხარე და მეორე მხარეა ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა.

რაც შეეხება „დუბაის განზომილებას“, აქ საუბარია ეკონომიკის მაქსიმალურ ლიბერალიზაციაზე. რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანთა, სოციალურ ჯგუფთა, პენსიონერთა, ქალთა, სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენელთა სოციალური დაცვა იმდენად იყოს შემცირებული (ადამიანის ძირეულ უფლებებს, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს არ შეეხებოდა), რომ ადამიანებმა ძირითადად თავიანთი შრომით და ნიჭით მოიპოვონ თავიანთი ადგილი და არა სხვადასხვა სოციალური დამცავი ქსელების დახმარებით. ეს შესაძლოა, ევროპის, განსაკუთრებით ცენტრისტულ-მემარცხენე ძალებისთვის მიუღებელი იყოს. მაგრამ ამავდროულად შემოდის ევროპის 2008 წლიდან არსებული „აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა“, რომელიც საქართველოს ძალიან საინტერესო პერსპექტივას ჰპირდება. ამ პერსპექტივის გამო, შესაძლოა, იდეოლოგიური კორექტირებებიც განხორციელდეს, უფრო მეტად გაკეთდეს აქცენტი სოციალურ დაცვაზე, საკვების უსაფრთხოებაზე, სტანდარტიზაციაზე, ანტომონოპოლურ კანონმდებლობაზე და ა.შ. ეს იქნება ე.წ. „დუბაის კონცეფციისაგან“ გადახვევა, მაგრამ სამაგიეროდ, ევროკავშირისგან არის რაღაც ისეთი, რაც ამას დააკომპენსირებს. დუბაიზე ერთი მარტივი მიზეზის გამოა ლაპარაკი, რომელსაც შეიძლება დაეთანხმო ან არც დაეთანხმო. მე, როგორც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენელს, თავად მაქვს პრობლემები დუბაის მოდელთან, თუმცა ასევე მესმის ამ მოდელის მიღმა არსებული ლოგიკა და მიმართა, რომ არც ბრიუსელის მოდელია იდეალური. ჭეშმარიტების მარცვალი ამ მოცემულ დროში სადღაც შუაში უნდა იყოს. თუ ხანგრძლივადიან პერსპექტივაში სოციალური დაცვის მთელი რიგი მექანიზმები და პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფი მთელი რიგი რეგულაციები იძლევა უფრო სტაბილური, წინასწარმეტყველებადი განვითარების პერსპექტივას ეკონომიკის განვითარებაში, მოცემულ მომენტში ეს შეიძლება ძვირი სიამოვნება იყოს. იმიტომ, რომ თუკი ყველა ის

რეგულაცია, რაც, ვთქვათ, არის სლოვაკეთში, იქნება საქართველოშიც, მაშინ ინვესტორი, რომელზედაც ნადირობა მიმდინარეობს, საიდანაც არ უნდა იყოს ის, იმავე რეგულაციების პირობებში შესაძლოა შედარებით უფრო სტაბილურ სლოვაკეთში წავიდეს, რომელიც ევროკავშირშია და ნაკლებად ემუქრება ის საფრთხეები, რაც საქართველოშია. ინვესტორის მოსაზიდად ეგებ უკეთესი იყოს, მისთვის უფრო ხელსაყრელი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების გარემო შეექმნათ. ეს ჩვენს შრომის კოდექსს მოკლეს და ლაკონურს გახდის, ნაკლები რეგულაციები იქნება. უცხოელ ინვესტორს, თუ მან რატომღაც გადაწყვიტა საქართველოში იაპონური საწარმოს ფილიალის აშენება, ამ ფილიალის გამოშვებული პროდუქციის ევროპული სტანდარტების მიხედვით შემოწმებას არ მოსთხოვენ.

„აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა“ სამი ცვლილების საშუალებას იძლევა. პირველია გამარტივებული სავიზო რეჟიმი. ეს თავისუფლების, ადამიანთა გადაადგილების ხელშემწყობი ერთ-ერთი გარემოებაა. ამ თავისუფლებაზე დგას ევროპის კავშირი, ისევე როგორც კაპიტალის, ქონებისა და პროდუქციის თავისუფალ გადაადგილებაზე. მეორეა თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, რაც საქართველოს ეკონომიკას იმდენად დააკავშირებს ევროპის კავშირთან, რომ ეკონომიკას ახალი სტიმულები გაუჩნდეს და ინვესტორების ძიებისათვის დუბაისმაგვარი მოდელი მუდმივად არ იყოს ერთადერთი გამოსავალი. მესამე, ეს არის ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროპის კავშირთან, რაც საქართველოსთვის ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის იმ გარანტიებს არ ნიშნავს, რაც ნატოს აქვს, მაგრამ, გულისხმობს, რომ ბევრად უფრო თვითდაჯერებულები ვიყოთ: ევროპამ ზურგი არ გვაქცია, ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ და პოლიტიკურად ასოცირებულები ვართ ევროპის კავშირთან. ამ პერსპექტივას „აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა“ აჩენს, რაც ნაკლებად ჩანდა წინა ჩარჩოებიდან, რომლებიც ევროპასთან ურთიერთობის ფარგლებში გვქონდა.

უკვე არის შემუშავებული გეგმები, თუ როგორ დავენერგოთ ევროპული სტანდარტები, როგორ დავაბრუნოთ რეგულაციები საქართველოში, რომლებიც 2004 წლის დასაწყისიდან უქმდებოდა. გეგმები დროშია გაწერილი. პირველი რეაქცია ევროპის კავშირიდან ამ გეგმებზე იყო, რომ ისინი ცოტა ამბიციურია. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება, რას და როდის დავიწყებთ. აქ რამდენიმე საკითხზეა საუბარი: სურსათზე, სანიტარულ კონტროლზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე, რაც მათ ერთ-ერთ საკვანძო საკითხად მიაჩნიათ და სტანდარტიზაციაზე. აქვე საუბარია ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე. ეს არის სახელმწიფოებრივი სტრატეგია. მე არ ვსაუბრობ კულტურაზე სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიის კუთხით, იქნება ეს ბოლონიის პროცესი თუ ინტელექტუალური და კულტურული გაცვლების ხელშემწყობა. მაგალითად, ვიზების გამარტივების საქმეში, უკვე შევთანხმდით, რომ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მგზავრობა და გადაადგილება გაიოლდება.

რაც შეეხება კულტურას, რა თქმა უნდა, არის განსხვავებები. მახსენდება 2006 წელს ევროკავშირში გავრცელებული სოციოლოგიური კვლევის, „ევრობარომეტრის“ მეთოდებით ჩატარებული კვლევა. ამ კვლევამ აჩვენა, რომ რაღაცაში არის მსგავსება და არის სერიოზული განსხვავებაც, მაგალითად, რელიგიასთან, ოჯახთან დამოკიდებულებაში, ხელისუფლების არსთან და მისი სიძლიერე-დაბალანსებულობის ხარისხთან დამოკიდებულებაში. მაგრამ მთლიანობაში, ჩემი აზრით, ქართული კულტურა არ არის თვითკმარი და თავისი რეგიონული ვარიაციებით ევროპული კულტურისა თუ ცივილიზაციის ნაწილია. ამავე დროს ის პრაგმატულობითაც გამოირჩევა. შესაძლოა, იდეების და დეკლარაციების და ზოგჯერ ემოციის დონეზეც რაღაც სხვა უფრო გვინდოდეს, ვიდრე შევდეთში, სადაც გენდერული საკითხი ისეთ ჭრილში დგას, რომ ვერც წარმოვიდგენდი. გენდერული თანასწორობა ყველამ იცის, მაგრამ გენდერული მეინსტრიმინგი რა არის, ალბათ ყველასთვის არ არის ცნობილი. ასეთ ჭრილში ქართული საზოგადოება ვერ აღიქვამს ამ კონკრეტულ და კიდევ ზოგ სხვა საკითხს. ბევრი საშუაოა გასაწევი. მათ შორის,

სახელმწიფოს დონეზეც, განსახორციელებელია პროგრამები, რეგულაციები ადაპტირებული უნდა იყოს ქართულ სინამდვილესთან. ჩვენი პრაგმატიზმი, რაც სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი საფუძველია, გაგვხდის ისეთივე ევროპელებად, როგორებიც არიან სხვა ევროპელები. რა თქმა უნდა არა შევლებად, მაგრამ პორტუგალიელებად.

ნინო დანელია – ძალიან საინტერესოა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ დამსწრე საზოგადოებისათვის, ალბათ, ასევე საინტერესო იქნება სახელმწიფოს კურსი იმ ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიას აძლიერებენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რასაკვირველია, ევროპული სახელმწიფოებისთვის. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სეკულარიზაციის თემა, ადამიანის უფლებები, მედიის თავისუფლება, ვერც სასამართლოს დამოუკიდებლობას ავუვლით გვერდს. მართალია, თქვენ ბრძანეთ, რომ პროფკავშირები უფრო მეტად შეიძლება იყოს მემარცხენე საზოგადოების იდეა, მაგრამ ევროპაში ეს იდეა ძალიან ცოცხალი და ქმედითია. ინდივიდს ყოველთვის არ შეუძლია თავის დაცვა და მის უკან უმეტესად დგას ხოლმე პროფესიული გაერთიანებები.

დავით დარჩიაშვილი – მოგახსენებთ, რატომ არ გავამახვილე ყურადღება ამ თემაზე. ეს აღარ არის მხოლოდ ევროპული ფენომენი, უნივერსალურია. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მთელი დღე დავუთმოთ დემოკრატიის ინსტიტუტების ხარვეზებზე თუ მისი მშენებლობის შუქჩრდილებზე საუბარს, მაგრამ ეს გასცდა ევროპის თემას. ეს არის ამერიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თემაც.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – ვართ თუ არა მზად იმისათვის, რომ მოხდეს ქართული კულტურის ინტეგრირება ევროპულ კულტურულ სივრცეში. “ვარდების რევოლუციის” შემდგომ მოსული ხელისუფლების უდიდესი შეცდომა სწორედ ის გახლდათ, რომ მან ჩათვალა, თითქოს ჩვენი კულტურა არსებული სახით მზად არ იყო ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის. საჭირო იყო რაღაც ფორმების გამოძებნა, რომლითაც მოხდებოდა ამ ხარვეზების გასწორება, შეიქმნებოდა რაღაც ყალიბი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ქართული კულტურის ჩამოსხმა და მისი ევროპულ სტანდარტებთან მისადაგება. ეს პოლიტიკა გეგმაზომიერად ხორციელდებოდა პირველ ეტაპზე, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ. პრაქტიკულად, ჩვენ მივიღეთ ძალადობრივი მოდელი, მოდელი, რომელიც დასავლური ცივილიზაციის არსს ეწინააღმდეგება, როდესაც ჯერ ვიღებთ სახელმწიფოს და შემდეგ სახელმწიფო ქმნის ახალ კულტურას. მაშინ როდესაც მთელი დასავლური ცივილიზაცია აბსოლუტურად საპირისპირო მოდელით არის აგებული. ჯერ არის კულტურა, რომელსაც ჩვენ დასავლურს ვეძახით, პროტესტანტული კულტურა, რომლის ერთ-ერთი ინკარნაცია სოციალურ ასპექტში გახლავთ კაპიტალიზმი. ანუ, ჯერ არის კულტურა, და შემდეგ მასზე იგება სახელმწიფოები.

ჩვენთან, ისევე როგორც ყველა სხვა ტოტალიტარულ სახელმწიფოში, ეს პროცესები საპირისპირო მიმართულებით განვითარდა. ჯერ ინტელექტუალური ნაწილი მოვიდა ხელისუფლებაში, მათ გადაწყვიტეს, რომ დომინანტური კულტურა არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და გადაწყდა, რომ უნდა შეგვეცვალა ჩვენი კულტურა. და დაიწყო გეგმაზომიერი, თუმცა ამაშიც, ალბათ უფრო არათანმიმდევრული და აგრესიული ნაბიჯების გადადგმა. მივიღეთ ისეთი რამ, რაც ხდება ხოლმე ყოველთვის, როდესაც ძალადობრივი მოდელების შედეგად ხდება დომინანტური კულტურის ერთგვარი რეფლექსია ამ წნეხის საწინააღმდეგოდ.

ნინო დანელია – იქნებ მაგალითები დაგვისახელოთ ქართული რეალობიდან, რომ უფრო გასაგები გახდეს, რაზე ვსაუბრობთ.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების იელოველობაში დადანაშაულება, ქურდული მენტალიტეტის მიმართ კიდევ უფრო სიმპატიის გაჩენა და ა.შ. არსებული მოდელების ჩვენს კულტურაზე მორგების მცდელობა თანდათან ჩინში შევიდა. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს რადიკალური ლიდერების მიერ ქუჩაში ასიათასობით გამოყვანილი ადამიანისთვის არსებული ფობიის გაღვივება იმ მოტივით, რომ თუ ახლა ერთად არ დაძლევენ ხელისუფლებას, მაშინ ის მათ გააქრობდა როგორც ერს.

ნინო დანელია – მე მაინტერესებს, სახელმწიფოს მხრიდან რა კონკრეტულ ქმედებებს გულისხმობთ.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – შეიძლებაოდა, ცვლილებები გარკვეული მიმართულებით ძალიან ფრთხილად და უმტკივნეულოდ გატარებულიყო. ეს ძალიან მგრძობიარე თემებია, არ უნდა ყოფილიყო თავდასხმის მცდელობები ისეთ ინსტიტუტებზე, რომლებიც ჩვენი დომინანტური კულტურის ნაკრებს წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევაში არ მივიღებდით საწინააღმდეგო ნეგატიურ დამოკიდებულებას ნებისმიერი სახის რეფორმის მიმართ. ასე მოხდა იაპონიაში, სადაც ბევრად უფრო ჩაკეტილი კულტურა იყო, ვიდრე საქართველოში. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორები მსჯელობდნენ იმაზე, როგორ მოეხერხებინათ იაპონიის ჩაკეტილი საზოგადოების გახსნა. პრაქტიკულად, დღეს ეს საზოგადოება ინტეგრირებულია არსებულ ცივილიზებულ სამყაროში.

ახლა ვისაუბრებ ტოლერანტობაზე და დიალოგის უნარზე. ჩემი აზრით, პოლიტიკურმა ელიტამ ამ მხრივაც გადააჭარბა ნეგატიურ შეფასებებში. თუ გადავხედავთ ყბადალებულ ქართულ ტოლერანტობას, ეს სინამდვილეში იმპერიაში მყოფი სახელმწიფოს ტოლერანტობა იყო. როგორც კი ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი, ტოლერანტობის ხარისხმა კლება დაიწყო. ამიტომ, ამ მხრივაც არასწორი მიდგომები გვქონდა.

რაც შეეხება იმას, მზად არის თუ არა ქართული კულტურა დიალოგისთვის, რა თქმა უნდა, ძალიან უჭირს მას დიალოგი. არა თუ შოტლანდიურ ან შვედურ კულტურასთან, ისეთ მონათესავე კულტურებთანაც კი, როგორც აფხაზური ან ოსური კულტურაა.

გადავხედოთ ქართული ლიტერატურის ისტორიას და ვნახოთ, რა ითარგმნებოდა უცხოური ლიტერატურიდან. ვნახავთ, რომ პრაქტიკულად, მსოფლიო ლიტერატურა არ გვითარგმნია, თუ არ ჩავთვლით „სიბრძნე ბალავარისას“ და იოანე პეტრიწის მიერ გაწეულ კოლოსალურ საქმიანობას. ამ ადამიანმა დაძლია ქართული ენის სიმწირე, შექმნა ქართული ენის ტერმინოლოგია, მან უზრუნველყო ის, რომ დღეს არსებობს ქართული სამეცნიერო ენა. ამის შემდეგ ქართულ კულტურას მე-19 საუკუნის ბოლომდე არც ჰქონია მცდელობა რაიმე მიეღო დასავლური ცივილიზაციისაგან.

ნინო დანელია – თუმცა, ქართულ ლიტერატურაში იყო დასავლური ლიტერატურის თანმხვერდი მიმართულებები, მაგალითად მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო დასავლური ლიტერატურის თარგმნა, თუმცა ეს არ ყოფილა თანმიმდევრული. ილია ჭავჭავაძესაც კი უჭირდა იმის განსაზღვრა, რა იყო სათარგმნი და უამრავი დრო დახარჯა ბუვიეს 400 გვერდიანი რომანის თარგმნაზე. თუმცა, მანვე, ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“. მე-20 საუკუნის დასაწყისში და შემდგომ უკვე კომუნისტური მმართველობის დროს დაიწყო საქართველოში მსოფლიო ლიტერატურის თარგმნა. დღეს ამ მხრივაც ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქართულიდან არაფერი ითარგმნება. ამ დონეზე ვართ გაჩერებული.

ვფიქრობ, თუ სახელმწიფო პოლიტიკა არ იქნება ძალადობრივი, თუ სათანადოდ გავიაზრებთ დომინანტურ კულტურას, მაშინ ისე კი არ ჩავეწერებით ევროპულ კულტურაში

როგორც შედეგები ან პორტუგალიელები, არამედ როგორც ქართველები. ეს იქნება ორგანული ჩაწერა. დარმწუნებული ვარ, რომ საქართველოს აქვს ევროპული პერსპექტივა.

ნინო დანელია – გმადლობთ. ჩვენც სწორედ ამის გარკვევას ვცდილობთ, რას ნიშნავს, რომ ვართ ქართველები, დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლაციას ვცდილობთ, თუ ქართველები ვართ სწორედ კულტურული დიალოგის და იმ მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომელიც არა მარტო მსოფლიოში, არამედ საქართველოშიც არის და ამის ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს. განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ბოლო - მე-20 საუკუნის დასაწყისი მოწმობს იმას, რომ ქართული კულტურა დაფუძნებული იყო კულტურულ მრავალფეროვნებაზე, დიალოგზე და რომ არა საბჭოთა კავშირი, დღეს ამდენი პრობლემა და ევროპისგან ასეთი გაუცხოება არ გვექნებოდა.

დავით ზურაბიშვილი – ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მეორეხარისხოვან საკითხებზე უფრო ვსაუბრობთ, ვიდრე მთავარზე. თემის სახელწოდებიდან გამომდინარე, მთავარი ის არის, რამდენად შესაძლებელია ევროპაში საქართველოს ინტეგრაცია და მივდივართ თუ არა ამ მიმართულებით.

ორი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. უნდა გავიზაროთ, რას ვგულისხმობთ სიტყვაში „ევროპა“. ევროპაში, რასაკვირველია, არ უნდა ვიგულისხმოთ ნიველირებული სივრცე, ერთიანი კულტურული ან თუნდაც პოლიტიკური მონოლითი, რომელიც ერთია სკანდინავიიდან დაწყებული, პირენეებით დამთავრებული. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ეს არის მრავალფეროვნებათა ერთიანობა, ცხადია, ევროპას აქვს საერთო, ვთქვათ, ისტორიის ძალიან ძლიერი თანაგანცდა, ბევრი გადაკვეთა აქვთ ერთმანეთთან. ბევრი ისეთი მოვლენა ყოფილა ევროპის ისტორიაში, რომელიც ეხებოდა არა ერთ კონკრეტულ ქვეყანას, გერმანიას, პოლონეთს ან პორტუგალიას, არამედ, მთელ ევროპას. ასეთი ბევრი ისტორიული მოვლენაც შეიძლება გავიხსენოთ. თუნდაც შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყვიტა და მენტალური ძვრებიც კი გამოიწვია არა მარტო კონკრეტული ეთნოსების, არამედ მთელ ევროპულ დონეზე.

დღეს ევროპას და ევროკავშირს თუ დავიყვანთ ერთ საერთო მახასიათებლად, წმინდა პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობით, ეს, უნდა ვთქვათ, არის გამარჯვებული ლიბერალური დემოკრატიის სივრცე, სადაც ლიბერალური იდეოლოგია გადავიდა მმართველობის ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, არის პრინციპები სახელმწიფოს მოწყობისა და ცხოვრებისა, რომლებიც საერთოა.

საქართველოსთან მიმართებაში ორ საკითხს უნდა მივაქციოთ ყურადღება. რამდენად არის ჩვენი კულტურა თავსებადი ლიბერალური დემოკრატიის მთავარ პრინციპებთან. ეს არის ინტეგრაცია ჩემი აზრით. ჩვენ აქ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება ისე, როგორც მოწყობილია, ცხადია, ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით ევროპის ქვეყნებში. აქ იაპონიის მაგალითი ახსენეს, არ ვიცი, რაზე საუბრობდნენ ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორები, მაგრამ იქ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ტექნიკური მოდერნიზაციის პრობლემაც კი, ძალიან სერიოზულად იდგა. ფილმებიც არის გადაღებული. სამურაები პრინციპულად არ იღებდნენ ხელში ცეცხლსასროლ იარაღს, ამბობდნენ, რომ ჭეშმარიტ იაპონელს მხოლოდ ხმლით და მშვილდისრით უნდა ებრძოლა. ასე რომ, ეს პროცესი იქ ძალიან მტკივნეულად წარიმართა. დღემდე, იაპონიაში, თუ გვაქვს ერთი რომელიმე ბანკის საკრედიტო ბარათი, მეორე ბანკში ის არ მოქმედებს. და ერთი მობილური ოპერატორიდან ვერ დარეკავ მეორე მობილურ ოპერატორთან. ეს თავისებური კულტურის გამოძახილია.

ქართულ კულტურაში ასეთი ხასიათის პრობლემები არ დგას. ჩვენი კულტურა მაინც ქრისტიანული კულტურაა. რელიგიური მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია, და დიდწილად

განსაზღვრავს კულტურას. თუ ავიღებთ ევროპაში კათოლიკურ, პროტესტანტულ ან მართლმადიდებლურ კულტურას, ასე რომ მივუდგეთ, მართლმადიდებლური სივრცე დღემდე არის ევროპის ნაწილი, აღმოსავლეთ ევროპა. ქვეყნები, სადაც მართლმადიდებლობა დომინანტური რელიგიაა, ბულგარეთი, რუმინეთი, ბალკანეთის ქვეყნები, ევროპის ნაწილია. ევროპის გარეთ, თუ არ ჩავთვლით რუსეთს, რომელიც ცალკე ფენომენია, მართლმადიდებლური აღმსარებლობა დომინანტური არსად არის. ყველამ კარგად ვიცით, რომ პროტესტანტულმა ეთიკამ მარტინ ლუთერის კლასიკური ნაშრომის მიხედვით წარმოშვა კაპიტალიზმის სულისკვეთება. ასეთი თეორიებიც იყო, რომ კათოლიკურ ქვეყნებს უფრო უჭირთ ინტეგრაცია ლიბერალურ დემოკრატიამი, ვიდრე პროტესტანტულს. აქ სხვა მომენტებიც არის. იოანე პავლე მეორე, მაგალითად, პროტესტანტიზმს სულ არ თვლიდა რელიგიად. რამდენად მართალი იყო, ეს სხვა საკითხია. პროტესტანტიზმი თავისი არსით თემის რელიგიაა, არ არის სახელმწიფო დონეზე აყვანილი. ამიტომ ასეთი ტიპის რელიგიური ხელვა ძალიან ადვილად ერწყმის სხვა რაღაცეებს და სახელმწიფოსთან მიმართებაში პრობლემას არ ქმნის. კათოლიციზმის ცენტრი რომშია, ანუ, ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრებთან კათოლიციზმის იდენტიფიცირება მაინც ნაკლებად ხდება, რადგანაც მთავარი სასულიერო პირი ვატიკანში იმყოფება. სახელმწიფოებრიობასთან მას, რასაკვირველია, შეხება აქვს, მაგრამ მასში უნივერსალიზმი უფრო სჭარბობს. ესპანელი კათოლიკე იქნება, არგენტინელი თუ პოლანდიელი, კათოლიციზმის ცენტრი მაინც რომშია. ანუ, ერთიანობის და გლობალიზმის მომენტი აქ მეტია.

მართლმადიდებლურ აღმსარებლობას უფრო მეტი პრეტენზია და მოთხოვნაც აქვს, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში მეტად მიიღოს მონაწილეობა. აქ საეკლესიო და სახელმწიფო უფლებამოსილების სივრცე, კათოლიკურისგან განსხვავებით, ერთია. პროტესტანტიზმში ეს არ არის საერთოდ. თუმცა, ეს არ არის ისეთი დონის დაბრკოლება, რომ რეალურად ხელი შევიშალოს ევროპასთან ინტეგრაციაში.

რა არის ევროპის მთავარი პრინციპები – დამოუკიდებელი მედია, ადამიანის უფლებების პატივისცემა. გამარჯვებულ დემოკრატიაში ადამიანი, ინდივიდი არის მთავარი ფიგურა. მას აქვს ძალაუფლებით აღჭურვილობის განცდა. ევროპელმა ადამიანმა იცის, რომ მას ეკითხებიან რაღაცას და მასზე ბევრი რამეა დამოკიდებული და მისი აზრი ანგარიშგასაწევია. ევროპელი ადამიანი ბავშვობიდან ასე იზრდება. მაგრამ ეს თავისთავად ვერ განხდება. ამას მოპოვება სჭირდება და ამისთვის არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, დამოუკიდებელი სასამართლო, შეკავების და გაწონასწორების მექანიზმები, რომლებიც აყალიბებს ამ განცდას. ტოლერანტობაც, სულ სხვა იყო შუა საუკუნეებში და სხვაა თანამედროვე ევროპაში, როდესაც განსხვავებულს არ აღიქვამ საფრთხედ და გესმის მისი ფასეულობა. ამისთვის აუცილებელია ძალაუფლების დანაწილება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებში. ეს არის ევროპული ცივილიზაციის მთავარი პრინციპი. ამ გაგებით, ევროპულ ცივილიზაციას შეიძლება მივაკუთვნოთ ამერიკის შეერთებული შტატებიც.

თუ აქეთკენ არ მივდივართ, გამოდის, რომ არ მივდივართ ევროპისკენ. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები იმისათვის, რომ ყოფილიყო ძალაუფლების დანაწილების პრინციპი, ან დამოუკიდებელი სასამართლო, მედია, ბიზნეს საქმიანობა? თუ ამ კუთხით შევხედავთ ევროპაში ინტეგრაციას, დავასკვნით, რომ არათუ არ გადადგმულა ამ მიმართულებით ნაბიჯები, არამედ გვაქვს უკუსვლა. 2003 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო იყო ძალიან სუსტი, მედია არც მაშინ ყოფილა თავისუფალი, მაგრამ უარესი მივიღეთ. გაძლიერდა რეპრესიული აპარატი, გაძლიერდა მთავრობა, მაგრამ სამაგიეროდ, ხელისუფლების სხვა შტოები პრაქტიკულად არა გვყავს. გამოთქმული იყო აზრი, რომ უნდა მომხდარიყო ძალაუფლების კონცენტრირება. გარდამავალ ეპოქაში მყოფი სახელმწიფოების პრობლემა არის სწორედ ეს, ისევე როგორც არსებული ხელისუფლებისა. ამ პრობლემას ხელისუფლებამ ადეკვატურად ვერ შეხედა და ვერ გაუძლო ამ გამოწვევას, რომ როდესაც ძალაუფლებაში მოდიხარ, ძალაუფლება უნდა გაანაწილო. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი იმ საფუძვლის შექმნა, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიულ ინსტიტუტებს

განამტკიცებდა ამ ქვეყანაში. თუ ეს ნაბიჯი არ გადაიდგმება, ეს შეჯახებამდე და საზოგადოების გაყოფამდე მიგვიყვანს. მით უმეტეს, პრინციპულად დაუშვებელია რეპრესიული აპარატით ამის განხორციელება. რეპრესიული აპარატით, ზომებით, პოლიციით და ადამიანებზე თვალთვალის ტოტალური კონტროლის გაძლიერებით საერთოდ წარმოუდგენელია ევროპისკენ სვლა. ადამიანს, რომელსაც ემიანია ტელეფონზე ლაპარაკის, რადგანაც ფიქრობს, რომ საუბრები ისმინება, ვერ ექნება ძალაუფლების აღჭურვილობის განცდა და ვერც იმის შეგრძნება, რომ ხელისუფლებას რაღაცას მოსთხოვს და მისი მოთხოვნა შესრულდება. თავისუფლებაა მთავარი პრინციპი, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს ევროპამდე. თავისუფალი მედიის, სასამართლოს, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების გარეშე ამას ვერ მივალწევთ. მესმის, რომ ეს ვერც ორ დღეში და ვერც ორ წელიწადში ვერ მიიღწევა, მაგრამ თუ აქეთკენ არ მიდიხარ, თუ ამ მიმართულებით არ მიცურავ, წინ ვერ წავალთ. ასეთ დროს პირველი სიტყვა სახელმწიფოს ეკუთვნის და მერე საზოგადოებას. ამ მხრივ ჩვენ წინგადადგმული ნაბიჯები არ გვაქვს. რა თქმა უნდა, შეგვიძლია საუბარი აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივაზე, სავიზო რეჟიმის გამარტივებაზეც, მაგრამ ამ პროგრამებში აზერბაიჯანიც ჩართულია, რომელიც გაცილებით შორს არის ევროპისგან კულტურულადაც, ისლამური კულტურისთვის ძალიან რთულია ევროპაში ინტეგრაცია. თურქეთსაც კი ძალიან უჭირს. იქ ბოლო წლები, არჩევნებში ისლამური პარტია იმარჯვებს. ისლამურ კულტურაში არის მომენტი, რომელიც არ არის ქრისტიანობაში, ისლამში არის ყოფის ნორმირება. თუკი ევროპული კულტურა დგას რომაულ სამართალზე, რომელიც რელიგიისგან გაყოფილია, რელიგიურ-ქრისტიანული სამართალი, მართლმადიდებლობა იქნება თუ კათოლიციზმი, საერთოდ არ ერევა სამართლებრივ საკითხებში, ფორმალურად ინკვიზიციას ერთი კაციც კი არა ჰყავს კოცონზე დაწვარი, მას არც შეეძლო ასეთი განაჩენის გამოტანა, მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ ვიღაც ერეტიკოსი იყო. მერე ეს გადაეცემოდა საერო სასამართლოს და ის მიუსჯიდა კოცონზე დაწვას. მაქსიმალური სასჯელი ნებისმიერი ქრისტიანული კანონმდებლობით არის ეკლესიიდან განკვეთა. მაგრამ ისლამში, სამართალსაც შარიათი კისრულობს. ეს ისლამისთვის ისეთივე დონის სიწმინდეა, როგორც ყურანი. ადამიანი, რომელიც რაიმეს მოიპარავს, რომ უნდა დაიჭირო და ამისთვის ხელი მოჭრა, ეს უწერია მუჰამედს. ამის გადალახვა გაცილებით ძნელია. ანუ, საეკლესიო და საერო სამართლის გაყოფა ისლამში რთულად ხდება. ამიტომ ისლამს უჭირს ინტეგრაცია სეკულარულ სფეროში უფრო მეტად, ვიდრე ქრისტიანულ ქვეყნებს.

კულტურული თვალსაზრისით ჩვენ არა გვაქვს სერიოზული პრობლემები. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ხელისუფლებას სერიოზულად დაეწყო იმ ინსტიტუტების შენება, რომლებზეც დგას თანამედროვე ევროპა და ამას საზოგადოების მხრიდან აღშფოთება და წინააღმდეგობა მოჰყოლოდა. თუკი ასეთი ნაბიჯები არ გადადგმულა, წინასწარ ხალხს დააბრალო, რომ ის ამას შეეწინააღმდეგებოდა, სწორი არ იქნება. კონკრეტული კულტურული პრობლემები ამ პროცესში, რა თქმა უნდა, იქნება და ეს ყველგან, ევროპის ქვეყნებშიც ყოფილა, მაგრამ სერიოზული დაბრკოლება არ იქნება. მეორე საკითხია ის, რომ სამწუხაროდ, ჩვენი, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა, არ მიდის ევროპისკენ. არ მიმაჩნია, რომ ევროპისკენ სვლა სავიზო რეჟიმის გამარტივებასა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებაში გამოიხატება. ეს თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია იმ ინსტიტუტების აშენება ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც იქნებოდა იმ ღირებულებების შესაბამისი, რომლებსაც დღეს ერთიანი ევროპა წარმოადგენს.

ნინო დანელია – ბატონო ზურაბ, რამდენად თავსებადია მართლაც, ქართული კულტურა ევროპულ კულტურასთან და ხომ არ არის ხალხისთვის დაბრალება, რომ ის არ არის მზად ევროპასთან ინტეგრაციისთვის, თამაშის ფორმა?

იქნებ მართლა აღარავის უნდა ამის გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი კვლევა ადასტურებს იმას, რომ ქართულმა საზოგადოებამ გააკეთა თავისი არჩევანი და მას სურს ევროპასთან ინტეგრაცია. სხვა საკითხია, რამდენად ესმით ადამიანებს, რა არის

ევროპასთან ინტეგრაცია. ან შესაძლოა, ესმით კიდევ და პოლიტიკოსებს ამაში ეჭვი ეპარებათ.

ზურაბ ქარუმიძე – დისკუსია ქართული კულტურის ევროპულობისა თუ არაევროპულობის შესახებ 90-იან წლებში დაიწყო. აქ გამოიკვეთა ორი ტენდენცია. პირველი იმაში მდგომარეობს, ზურაბ უვანიას სიტყვებს გავიხსენებ, საქართველო არის ბანტუსტანი, რომელიც ძალიან შორს დგას იმისგან, რომ მზად იყოს ლიბერალურ-დემოკრატიული ფორმაციისათვის. მეორეს მხრივ, არსებობს აზრი, რომ ქართულ კულტურაში არის ევროპულობის ძალიან ძლიერი მუხტი და საჭიროა სხვა პოლიტიკური მიდგომა.

ისტორიულ ჭრილში რომ განვიხილოთ, რა სჭირს დღევანდელ საქართველოს ისეთი, რომ არ მოხდა ეს ტრანსფორმაცია და გადასვლა ლიბერალურ-დემოკრატიულ სოციალურ-პოლიტიკურ მოდულში. ევროპული დემოკრატია შექმნილია არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური ძაღისხმევის შედეგად. ევროპულმა მენტალიტეტმა, ევროპულმა გონებრივმა წყობამ დემოკრატიის თავისებური ესთეტიკური და სახელოვნებო სკოლაც გაიარა. და ეს დაიწყო მანამდე, ვიდრე საამისოდ სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძაღისხმევა დაიწყებოდა. მე ვგულისხმობ შუასაუკუნოვან ევროპულ კულტურას, თავისუფალი ქალაქების კულტურას, და ამ თავისუფალ ქალაქებში განვითარებულ ე.წ. კარნავალურ კულტურას.

რა არის ევროპელობა საერთოდ? ევროპელობა არის დიალოგურობა ურბანულ სივრცეში. ეს არის გახსნილობა სხვისადმი, სხვისი აზრისა და პოზიციისადმი, და ამავე დროს საკუთარი კლანურ-ბასილევსური, ძველი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „ნოსტრიის“ გადალახვა. აქ ინდივიდი დგება ინდივიდის პირისპირ. რაც შეეხება კარნავალიზაციას, ეს იყო უდიდესი ხელოვნება, რაღაც დოგმების, კლიშეების და ოფიციალური იდეოლოგიის აყირავებისა. მოგეხსენებათ, ევროპული ქალაქები ნახევარი წლის განმავლობაში სწორედ ამ აყირავების და კარნავალურ მოდულში არსებობდნენ. უშუალოდ ამ კულტურიდან წამოვიდა შემდეგ უკვე ლიტერატურული ფორმები, შესანიშნავი პაროდული ლიტერატურა, რომლითაც იწყება ფაქტობრივად ევროპული ლიტერატურა. გავიხსენოთ ფრანსუა რაბლე ან ერაზმ როტერდამელი, შემდეგ უკვე ღონ კიხოტი თავისი პაროდული მუხტით და ა.შ. ეს ესთეტიკური გამოცდილება, რომელიც, მოგეხსენებათ, ყველაზე მარტივად აღქმადია, იმიტომ ის გრძნობების დონეზე ვითარდება თანდათან, მე-18 საუკუნიდან უკვე ითარგმნა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დისკურსის ენაზე.

სამწუხაროდ, ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს სულ სხვა ისტორიული პრობლემები ჰქონდა და საამისოდ მზად არ ყოფილა. თუმცა, რომ შევხედოთ ქართული კულტურის განვითარების ეტაპებს, იყო გამონათებები იმისა, რასაც მე დემოკრატიულ ესთეტიკას დავარქმევდი. იმ ლიტერატურულ კონტექსტთან შედარებით, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ პერიოდში იმყოფებოდა, სამწუხაროდ, ამის შემდეგ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ლიბერალური და დემოკრატიული ტექსტები აღარ გვქონია. ადრე გვიხუმრია, რომ რომელიმე ქართველ მწერალს დაეწერა თუნდაც პატარა ნოველა იმერელ შემოდგომის აზნაურზე, რომელმაც იმდენი იკითხა „ვეფხისტყაოსანი“, რომ გადაირია, მოაჯდა ცხენს და გაეშურა მეზობელ სოფელში იქაური ქალის, დესპინეს გასათავისუფლებლად, რომელიც მისთვის ქაჯების მიერ დატყვევებული ნესტან-დარეჯანი იქნებოდა. ეს უკვე ქართული მენტალობის სერიოზული მუხტი იქნებოდა. თუმცა, არსებობს ტექსტი „დაღლისტყაოსანი“, არისტოტელეს „პოეტიკის“ მეორე ნაწილის მსგავსად, რომელიც კომედიას ეხებოდა, დაკარგულია, არ ჩანს, სადღაც იმალება. იყო სხვა ეტაპებიც. იყო დავით გურამიშვილი, იმდროინდელი ქართველი პოეტებისგან სრულიად განსხვავებული პოეტი, თავისი მისტიციზმით, ღრმა პოეტური ანალიზის მცდელობებით. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ევროპისკენ შეგვაბრუნა, რაც რუსეთის გავლით წავედით ევროპისკენ, შემოდის ევროპული რომანტიზმი და გვყავს ნიკოლოზ ბარათაშვილი, და არის დემოკრატიული ესთეტიკა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის უკვე შემოდინ თერგდალეულები თავიანთი იდეებით და ახალი მოსაზრებებით, ეს კიდევ უფრო სრულყოფილ სახეს იძენს. ყველაზე დიდი აფეთქება დემოკრატიული ესთეტიკისა რა თქმა უნდა, ქართული მოდერნიზმი იყო 1910-20-იან წლებში, სადაც ქართველებმა აჩვენეს, რომ შეუძლიათ იმ ტენდენციებისა და ესთეტიკის გაზიარება, რომელიც ევროპაში ყალიბდება. ამას „პერიფერიულ მოდერნიზმს“ და „პერიფერიულ ავანგარდიზმს“ უწოდებენ, მაგრამ ის, რაც რუსეთის და უშუალოდ ევროპის მეშვეობით შემოვიდა მაშინ თბილისში, შესანიშნავად წაიკითხეს იმ ახალგაზრდებმა, ვინც ახალი გადმოსულები იყვნენ ქუთაისიდან. მომავალ „ცისფერყანწელებს“ ვგულისხმობ. წამოვიდნენ ქუთაისიდან, დახვდათ აქ უზარმაზარი ინფორმაცია და ისე კარგად გადაამუშავეს, რომ აყვნენ ამ ტენდენციას. სახვით ხელოვნებაშიც შესანიშნავი ნამუშევრები შეიქმნა. დავით კაკაბაძე, პირიქით, პროგრესშიც კი იყო იმ პერიოდისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ის თაობა, რომელმაც შექმნა თბილისური ავანგარდი და ქართული მოდერნიზმი, 30-იან წლებში განადგურდა და ეს ყველაფერი დასრულდა.

ერთის მხრივ, ჩვენ ვერ გავიარეთ დემოკრატიზმის ის ესთეტიური სკოლა, რომელიც ყალიბდებოდა ევროპაში, თავისუფალ ქალაქებში და დიალოგურ პირობებში, მხოლოდ მცირედი გამოცდილება გვქონდა ამისი. მიუხედავად იმ თაობის განადგურებისა, 60-იან წლებში ისევ იწყება აღორძინება. მოდის ახალი თაობა, ეს სამწუხაროდ მხოლოდ კინემატოგრაფიასა და თეატრში ხდება, ლიტერატურაში რომ ყოფილიყო, ანალიტიკისა და კრიტიკის მომენტი მეტი იქნებოდა. ქართველები ძალიან ესთეტიკური ერი ვართ და რაც არ უნდა მოხდეს, ესთეტიკის დონეზე მაინც გავაჟღერებთ დემოკრატიულობას და ლიბერალიზმს. ქართული თეატრი და კინემატოგრაფი 60-იან წლებში უკვე ამჟღავნებს არათუ მოდერნულობის მომენტს, პოსტმოდერნულობის მომენტსაც კი. მიხეილ თუმანიშვილის და რობერტ სტურუას თეატრი პოსტმოდერნისტული თეატრია. ერის ესთეტიკურმა მენტალიტეტმა მოახერხა რეგენერირება და წამოვიდა ის, რასაც მე დემოკრატიულ ესთეტიკას ვუწოდებ. მაგრამ, ბუნებრივია, საბჭოთა პირობებში ამისი თარგმნა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკის ენაზე შეუძლებელი იქნებოდა.

90-იან წლებშიც იგივე მოხდა. ამჯერად უკვე ეს პროცესი ლიტერატურაში შეიმჩნევა. იწერება ისეთი ლიტერატურა, რომელიც მანამდე, განსაკუთრებით 50-60-იან წლებში არ ყოფილა, იცვლება პროზისა და პოეზიის ენა, შემოდის სლენგი, პაროდირება, ხდება კლასიკის ხელახალი წაკითხვა. მაგრამ ისევ არ ხდება სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური დისკურსის ენაზე ამ ყველაფრის თარგმნა. საქართველოს ისევ ამორფული და გაურკვეველი მდგომარეობა აქვს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაღაც პოტენციალი ევროპელობისა ქართველებში დევს. ეს არ არის მხოლოდ ქრისტიანობის მომენტი, იმიტომ რომ ქართველებში მაინდამაინც ღრმა რელიგიურობა არ შეიმჩნეოდა, ჩვენთვის ყოველთვის მაინც ესთეტიკური მომენტი იყო გადამწყვეტი ამ საკითხებში, ისევე, როგორც პოლიტიკური და სოციალური ღირებულებების ათვისების თვალსაზრისით. აქ, ჩემი აზრით, უნდა მომხდარიყო ორი რამ. უნდა ყოფილიყო ქმედება ქვემოდან, კულტურულ და სამეცნიერო ელიტას, იმ ხალხს, ვისაც ეხება განათლების სისტემის რეფორმირება თუ საგამომცემლო საქმიანობის აწყობა, შესაბამისი დაფინანსების ფონზე უნდა ემოქმედა სწორედ იმ ელემენტების სტიმულიზაციასა და გაღვივებაზე, რომელიც ამ ლიბერალურ-დემოკრატიული ესთეტიკის კიდევ უფრო გამძაფრებას გამოიწვევდა ჩვენში. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით უნდა ყოფილიყო ქმედება ზემოდანაც, პოლიტიკური ელიტის მიერ. გამოდის რომ, ქართველების ევროპელობასთან დაკავშირებით, ჩვენ ახლა ველოსიპედს ვიგონებთ. 1879-80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე წერდა ესეების ციკლს, რომელსაც ერქვა „ბუნება და კანონი“. ილია წერდა, რომ ბუნებრივი მდგომარეობა ერთია, მაგრამ კანონი, რომელიც გულისხმობს სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთქმედებას, ის ქმნის ყოფიერების და არსებობის სულ სხვა დონეს. ადარებს კიდევ ერთმანეთს სკოტლანდიელ გლეხს და ირანელ გლეხს. ირანელს შესაძლოა, უფრო მეტი რესურსი ჰქონდეს, მაგრამ სოციალურად და ეკონომიკურად სკოტლანდიელი გლეხი იმდენად კარგ პირობებშია, რომ იგი თავის თავს გაცილებით უფრო

მეტად ამჟღავნებს და მეტ რეალიზაციას უკეთებს. რას წერს ეს ადამიანი, რით უნდა მივაღწიოთ ამას? ეს გზა ყველას აქვს გავლილი, ის დეცენტრალიზაციაზე საუბრობს, ადგილობრივი თვითმმართველობის წახალისებაზე.

რა არის ქართული მენტალიტეტის არსებითი თვისება, რომ ის ჩაერთოს სოციალურ-ეკონომიკურ თამაშში, გრძნობდეს რომ აქვს თავისუფლება. ძალიან საინტერესო სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა კონფლიქტოლოგიის ცენტრში გაგა ნიჟარაძემ. ოთხი წლის განმავლობაში დინამიკაში იკვლევდნენ საქართველოს დიდ ქალაქებში ღირებულებებისადმი მიდგომას. ერთ-ერთი კითხვა იყო, რას მიიჩნევდნენ ქართველობის მარკერად. ამ დინამიკაში, რა თქმა უნდა, იყო ძალიან შემაშფოთებელი ზრდა რელიგიური მომენტისა, რელიგიური ნაციონალიზმი უფრო მძლავრად გამოემჟღავნა საქართველოში 2000-იან წლებში, ვიდრე ეს იყო 80-90-იან წლებში. თუკი ზურაბ ჟვანიას სენტენციაა, რომ „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, თითქმის ყველამ გაიზიარა მაშინდელ საქართველოში, დღეს ეს ფორმულა სხვანაირად ჟღერს: „მე ვარ მართლმადიდებელი, მაშასადამე ვარ ქართველი“, ან პირიქით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გამოკვლევამ აჩვენა, როგორ დრამატულად გაიზარდა ისეთ კატეგორიებზე მოთხოვნილება, როგორიც არის საქმიანობის თავისუფლება და საკუთრების დაცვა, ანუ, წმინდა დემოკრატიული და ლიბერალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელმა მოთხოვნილებამ. მიმდინარეობს ორი პარალელური პროცესი, ერთი მხრივ მძაფრდება რელიგიური ნაციონალიზმი, რაც, ალბათ მაინც არასწორი პოლიტიკის შედეგია, პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა პოლიტიკური ელიტა, ალბათ, უფრო ფაქიზ მიდგომას საჭიროებდა. მეორე მხრივ, არის აშკარა მოთხოვნა დემოკრატიზაციაზე და მეტ თავისუფლებაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური თავისუფლებაა, ოღონდ სოციალურ-ეკონომიკური თამაშის ფარგლებში. ეს ორი ტენდენცია ცოტა გაოცებას იწვევს. პარადოქსია, ხომ? სინკრეტიზმი გამოდის. არ შეიძლება, ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. ეს ალბათ ისევე ჩვენი ქართული გუნდური ამორფულობის შედეგია, ჯერ არ დაღვინებულა, არ ჩამოყალიბებულა. ამიტომ საჭიროა ძალისხმევა ორივე მხრიდან, ქვემოდან – სახელოვნებო და საგანმანათლებლო რეფორმა და ზემოდან – ფაქიზი და დახვეწილი რეფორმა იმისათვის, რომ საქართველოს გახსნა ევროპისადმი ნორმალურად დასრულდეს.

ნინო დანელია – თქვენ ბრძანეთ, რომ ევროპული კულტურისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დიალოგი და ინდივიდი ამ დიალოგში, დომინანტურმა კულტურამ არ უნდა შთანთქას ინდივიდი ან სუბკულტურები. თქვენ ასევე თქვით, რომ სახელმწიფოს კურსი ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ვსწავლობდი პოლიტიკურ რეკლამას, ძალიან კარგად გამოჩნდა ის კონიუნქტურა, რასაც პოლიტიკური ელიტები უწევენ ხოლმე ანგარიშს. პოლიტიკური რეკლამა, რომელსაც აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“, მიმართული იყო სწორედ სოციალური საკითხების გადაჭრაზე, ყველა დანარჩენი პოლიტიკური რეკლამა მიმართული იყო ღირებულებებზე. მათში საზგასმული იყო ორი მომენტი: მართლმადიდებლობა, კადრში აუცილებლად ჩანდა ეკლესია და ანთებული სანთლები, და ქართველობა. ამით ცდილობდნენ პოლიტიკურ კონიუნქტურაში თუ დომინანტურ კულტურაში ჩაჯდომას. ასევე, სულ ცოტა ხნის წინ, საპროტესტო აქციების დროს ძალიან დომინანტურად ჟღერდა იდეა, რომ ეს ადამიანები იდგნენ ქართული სულის სადარაჯოზე. იქნებ შევეცადოთ, გავშალოთ ეს თემა, რას ნიშნავს ქართული სული ადამიანებისთვის, რომელბიც იმ ეტაპზე გამოდიოდნენ მმართველი პარტიის წინააღმდეგ. მეტყველებს თუ არა ეს ღირებულებებში ურთიერთწინააღმდეგობაზე, თუ სხვა კონიუნქტურასთან გვაქვს საქმე?

დავით ზურაბიშვილი – მეც მიმიღია მონაწილეობა საარჩევნო პროცესში, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომ ჩვენს პოლიტიკურ რეკლამაში ეს მომენტი წამყვანი ყოფილიყო.

ნინო დანელია – მე „რესპუბლიკურ პარტიას“ არ ვგულისხმობ, თუმცა ალიანსში შემავალი ერთ-ერთი პარტიის სლოგანი იყო „მე მწამს ღმერთის და შემწვევს ძალა“.

დავით ზურაბიშვილი – გეთანხმებით, იყო ასეთი, მაგრამ ეს თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, იმიტომ რომ იდენტიფიცირების მცდელობები იმ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, რომლებიც საზოგადოებაში ნდობით სარგებლობენ, პოლიტიკური ძალის არჩევანია. ის, რომ ხელისუფლება სოციალურ პრობლემატიკაზე აკეთებდა აქცენტს, არ ყოფილა ღირებულებებითი მომენტი, მათ იოლად შეედლოთ დაერიგებინათ მოსახლეობისთვის პრობლემები. ყველა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, სოციალური პრობლემები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის პირველ ადგილზეა. სხვა პოლიტიკურ ძალას ამის საშუალება უბრალოდ არ ჰქონია.

ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ქართულ სულზე აქცენტის გაკეთება წამყვანი მომენტი იყო პოლიტიკურ რეკლამებში. ის, რომ საზოგადოების წევრებს, ცალკეულ ადამიანებს არაფერს ეკითხებიან და ისინი გარიყულად გრძნობენ თავს, ეს თავისთავად გადადის შემდეგ ნაციონალური იდენტობის მომენტზე. როდესაც პიროვნება გამიჯნულია ყველა პროცესისგან, ეს ცხადია, ნაციონალური იდენტობის დონეზე გადაინაცვლებს. იგივე რელიგიის სფეროში ხელისუფლების პოლიტიკა, ერთი მხრივ თითქოს აგებული იყო ამ ინსტიტუტის გამოყენების მცდელობაზე, და მეორე მხრივ, ხელისუფლებასთან მკაფიოდ ასოცირებული ადამიანების ისეთი ქმედებები, როგორც იყო მღვდლის ქარტიის დაწერა. ცხადია, ამას მოჰყვებოდა რეაქცია. თუმცა, მიმაჩნია, ადამიანებს ამ წლების განმავლობაში რომ ჰქონოდათ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალება, რელიგიური მომენტი ისე გაძლიერდებოდა, როგორც ახლა არის.

დავით დარჩიაშვილი – ბატონმა დავითმა თქვა, რომ ჩვენ არათუ წინ მივცურავთ, არამედ უკან გამოვცურეთ. მე არ შევუდგები იმის განხილვას, ჩვენი რომელი ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად და რომელი არა, უბრალოდ, ერთს ვიტყვი. ყველაფრის წყალში გადაყრა ან პირიქით ქება-დიდება, არც ანალიტიკურად, არც ფილოსოფიურად არ არის სწორი. არ არსებობს ბუნებაში რაიმე ხდომილება, რომელიც ცალსახად ნეგატიური ან პოზიტიური იქნება. მახსენდება ერთი კვლევა, რომელიც 2000-2001 წელს ჩატარდა, მაშინ გაჩნდა ანტიკორუფციული შვიდკაცა, სადაც ერთად იყვნენ უსუფაშვილი, ნოღია და მოლაშვილი, კონტროლის პალატის მაშინდელი თავმჯდომარე. ამას მოჰყვა სოციოლოგიური კვლევებიც, და ერთ-ერთ ტექსტში, რომელსაც პრინციპში, არავინ ეწინააღმდეგებოდა იმ ადამიანებიდან, ნათქვამი იყო, რომ კორუფცია იმდენად არის გავრცელებული, რომ როგორც ინგლისურ ტექსტში ეწერა, „ნაციონალურ სპორტს დაემსგავსა“, ქართული ტექსტის მიხედვით, „კულტურის ნაწილად იქცა“. ასეთი იყო რეალობა და მას არავინ ეწინააღმდეგებოდა. ამის შეცვლა, მე მგონია, რომ აუცილებელი იყო. სხვაგვარად ყველას მონაწილეობა, ყველასი გენერირება იმ განცდისა, რომ აზრს გეკითხებიან, შესაძლოა დასრულებულიყო ან არაფრის კეთებით, ან უარესის კეთებით. არ დავასახელებ ვინ იყო თეატრში მოღვაწე ის ცნობილი ადამიანი, რომელსაც, როდესაც უთხრეს, რომ მისი თეატრის ბიუჯეტი რამდენიმეჯერ გაიზარდებოდა, თქვა, რომ მას ეს არ აინტერესებს, მას ის დრო აინტერესებს, როდესაც ნებისმიერი დარგის მინისტრს დაურეკავდა და მის დარეკილზე რაღაც კონკრეტული საქმე კეთდებოდა. ასეთი საზოგადოება ვიყავით. შევიცვალეთ თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ ვითარებაში ფონს გასვლა და სახელმწიფოს უკან დაბრუნება იმ ფიქციიდან, ვირტუალური სახელმწიფოდან, რომელშიც ვიმყოფებოდით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გეთანხმებით, ამას ბევრი რამ შეეწირა და ადამიანებს დაეკარგათ მონაწილეობის განცდა, მაგრამ მე გეუბნებით, რა უკიდურესობებს შორის შეიძლებოდა აღმოვჩენილიყავით – მონაწილეობა ასეთი კულტურით თუ რაღაც მომენტებში სწრაფი სიარული რაღაც ელემენტარულის ამოქმედებისთვის.

ევროპისკენ ცურვას არ განსაზღვრავს მხოლოდ კულტურა. კულტურაზე საუბრისას აქცენტი გაკეთდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. კულტურა საბოლოო ჯამში არის ნორმების და წესების ერთობლიობა. ყოველი ჩვენი ნაბიჯი არის კულტურა, ლაპარაკიც, კანონების ჩამოყალიბება, თუმცა, კულტურას, ბიუროკრატიას, სახელმწიფოს, ყველაფერს ერთმანეთში ნუ ავურევთ. იყო დარტყმები მწერალთა კავშირზე, სხვადასხვა კავშირებზე. ეს იყო დარტყმა კულტურაზე? მე მგონია, არა. როდესაც სადღაც მივცურავთ, როგორც კოლექტივი, ერთობა, ერი, ამ პროცესს მართო კულტურა არ განსაზღვრავს, მართო დემოკრატიის წიგნებში აღწერილი წესები საკმარისი არ არის. რეალურ პოლიტიკაში არის კიდევ რაღაც სხვა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს. ეს ეკონომიკაც არის და პოლიტიკაც, მაგალითად, ძალაუფლებისათვის ბრძოლა. იმიტომ რომ, თუ კარგავ ძალაუფლებას, კარგად უნდა დაფიქრდე ვის უტოვებ მას და რას მოუტანს ეს საბოლოო ჯამში ქვეყანას. ეს ერთობლიობა, რა თქმა უნდა, შეცდომებს გაშვებინებს, კომუნიკაცია იყო ყველაზე სუსტი ადგილი რევოლუციური ხელისუფლებისა, მაგრამ ვინმემ დამისახელოს, რომელი რევოლუციური ხელისუფლებაა იდეალური კომუნიკაციაში. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ცვლილებები მაინც ხორციელდება და ისინი დასავლეთისკენ არის მიმართული.

ერთ საკითხს დავამატებ. სავიზო რეჟიმი, შესაძლოა, პირდაპირ არ უკავშირდებოდეს კანონის უზენაესობას და დემოკრატიის განმტკიცებას, მაგრამ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მასთან პირდაპირ არის დაკავშირებული.

დავით ზურაბიშვილი – კორუფციის მომენტი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რის ფასად ხდება კორუფციის დონის შემცირება. მართალია, საპასპორტო განყოფილებაში აღარ გვიწევს ფულის გადახდა, მართლაც შეიცვალა რაღაცები, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელი იყო კანონის უზენაესობის ფასად და ელიტარულ კორუფციაზე გადაუსვლელად? მაგალითად, ავიღოთ დროებით უმუშევარი კეზერაშვილი, რომელიც სინამდვილეში დღემდე განაგებს გადასახადების ამოღებას. ადამიანები დაშინებულები არიან და ამიტომ ვერ ბედავენ რაღაცის გაკეთებას. ეს არ ყოფილა მენტალური ცვლილება. ეს კანონის წინაშე შიში კი არ არის, რომ ადამიანს აქვს იმის შეგნება, რომ ის კანონს არღვევს და ამიტომ დაისჯება. კანონის უზენაესობა არ დამკვიდრებულა, ჩვენ მივჩქმალეთ პრობლემები, თითქოს ისინი არც არსებულა. ამ სიტუაციაში, საკმარისია წინების მოხსნა, რომ ამ პრობლემამ კვლავ იფეთქოს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიძლება ყურადღება არ მიაქციონ ელიტარულ კორუფციას, მაგრამ ეს დიდ პოლიტიკურ პრობლემად რჩება.

ზურაბ ქარუმიძე – ის პოლიტიკა, რომელიც დღემდე გაატარა ხელისუფლებამ, ჩემში „მექანიკური ფორთოხლის“ ასოციაციას იწვევს. ერი არ არის მექანიკური ფორთოხალი. თავისთავად, მექანიკური ფორთოხალი აბსურდული წარმონაქმნია. არ არის ერი ფორთოხალი, რომელსაც მექანიკურად გარდაქმნი, ის ცოცხალი ორგანიზმია.

სანდრო თარხან-მოურავი – თქვენ საუბრობდით იმაზე, რომ 2003 წლის შემდეგ გაიზარდა არატოლერანტულობის დონე და უფრო დიდი გახდა ქართველობის მართლმადიდებლობასთან იდენტიფიცირება. ამავე დროს, თქვენ თქვით, რომ ყვანიას ნათქვამს ევროპელობის შესახებ ყველა დაეთანხმა. რა სტატისტიკას ემყარება თქვენი ვარაუდები ტოლერანტულობის გაზრდის თუ შემცირების შესახებ?

ზურაბ ქარუმიძე – წლების განმავლობაში ვადევნებდი თვალს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ვხედავდი, რომ ევროპელობა არ ყოფილა კატეგორიულად მიუღებელი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. თუმცა, ადრე, 90-იანი წლების მეორე ნახევარში, არ იგრძნობოდა რელიგიური ნაციონალიზმის ისეთი მომძლავრება, როგორცაა, განსაკუთრებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

დავით ზურაბიშვილი – კონრად ადენაუერის ფონდი 2004 წლიდან მოყოლებული ატარებს კვლევებს; რელიგიური ნაციონალიზმის მატება ამ კვლევების მიხედვით საგრძნობია. ყველაზე ნაკლები იყო 2006 წელს. ამავე წელს ყველაზე მაღალი იყო სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა. მომდევნო წლებში სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის მკვეთრი ზრდის პარალელურად იზრდება რელიგიური ნაციონალიზმის დონე.

ზურაბ ქარუმიძე – თუმცა ამავე დროს იზრდება დემოკრატიზმის მოთხოვნების ტენდენციაც.

ლევან ბუწაშვილი, სტუდენტი – ბატონო ნიკა, თქვენ ბრძანეთ, რომ სახელმწიფოს ცოტა უფრო რბილი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. პირადად მე საქართველოს ხსენებაზე პირველი საჭაპური და ქართული სუფრა მახსენდება. ჩვენთან არ არის ისეთი ტრადიცია, როგორც არის ევროპაში, პარლამენტარიზმი არის ბრიტანელების ტრადიცია, შორეული ნაოსნობა – ჰოლანდიელების. ჩვენ სასოფლო რიტუალების გარდა არაფერი გვაქვს, რისი შეტანაც შეგვიძლია ევროპულ სივრცეში. ალბათ, მოგვიწვევს რაღაცების დათმობა იმის სანაცვლოდ, რაც უნდა შევიძინოთ ევროპისგან.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – სხვათა შორის, საჭაპური ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმ კვლევაშიც, რომელიც გაგა ნიჟარაძემ ჩაატარა, არის ასეთი შეკითხვა, როგორ გესმით ქართველობა. ამ კვლევაშიც შევიძლიათ ნახოთ საჭმელის მიმართ დამოკიდებულება.

ფორმალური ინსტიტუტი, ამ შემთხვევაში სახელმწიფო, ახდენდა ძალადობას არაფორმალურ ინსტიტუტებზე, რომლებიც ქმნიან კულტურას. მახსენდება თათბირი, რომელიც იხილავდა 2004 წლის საახალწლო ღონისძიების გეგმას. ამ თათბირს მე ვესწრებოდი, როგორც უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი. ხელისუფლება ძალიან აქტიურად განიხილავდა საკითხს, რომ აუცილებლად უნდა მოეხდინათ იმის ორგანიზება, რომ ახალი წლის ღამეს ხალხი ქუჩაში შეხვედროდა. იქ საუბარი იყო იმაზეც, რომ აუცილებლად უნდა მოემზადებინათ ქუჩაში მყოფი ხალხისთვის გლინტვეინი. ამან კამათიც გამოიწვია, იმიტომ რომ ტექნიკურად ეს ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. აქ უკვე იყო ორმაგი მიდგომა. ხელისუფლებაში ერთის მხრივ, არიან ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ წირვებზე, ლიტურგიებზე სიარულს და ინტერვიუს ხატის ფონზე მიცემას, მეორე ნაწილს უფრო ხისტი მიდგომა აქვს, ყოფილი განაწყენებული სემინარისტები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებაზე ეკლესიის გავლენის შემცირებას. მეორე ნაწილი პირველს საყვედურობს რეფორმების კურსის შეჩერებას. ყოველივე ეს ქმნის არათანმიმდევრული და ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას საქართველოში.

ნინო დანელია – ბატონო ნიკა, მხოლოდ ხელისუფლებაზე რომ არ ვისაუბროთ, თქვენი შეფასებით, „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია“ ევროპული ორიენტაციის პარტიაა? თქვენ მართლმადიდებლობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადეთ. როგორ ესმის ქართველობა და ტრადიციული ქართული კულტურა თქვენს პარტიას?

ნიკოლოზ ლალიაშვილი – ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა გახლავთ წმინდა წყლის ევროპული მოძრაობა. ის თავის ძირითად ღირებულებებს იღებს სწორედ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების პროგრამებიდან. ჩვენს პროგრამა, შევიძლიათ ნახოთ, რომ თავსებადია, მაგალითად, გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამასთან.

მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“ – ჩვენს ქვეყანაში კლებულობს დემოკრატიული განვითარების ტემპი, ამის ნიშნები ნამდვილად შეიმჩნევა. ეს თუ იმოქმედებს იმაზე, რომ ევროპამ, დასავლეთმა თანდათან დაგვკარგოს. იქნებ, ჩვენ ევროპისთვის სხვა ნიშნით უფრო ძვირფასები ვართ და ამის გამო ის ნაკლებდემოკრატიულებსაც მიგვიღებს.

დავით ზურაბიშვილი – მე მგონია, რომ დღეს ან თუნდაც ხუთი წლის შემდეგ საქართველოს ევროკავშირში მიღება არ განიხილება. საუბარია პარტნიორობაზე კონკრეტული მიმართულებით. ის, მოინდომებს თუ არა ევროპა ჩვენს მიღებას, მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული. 90-იან წლებში, ბალტიის ქვეყნებისგან განსხვავებით, ხელიდან გაუშვით სახელმწიფოს ტრანსფორმაციისა და ჩვენი ქვეყნის იმ პრინციპებზე და საფუძვლებზე მოწყობის შანსი, რის საფუძველზეც მოხდა ამ ქვეყნების ევროკავშირში შესვლა.

თუ პოლიტიკურ მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ, ამ წლების განმავლობაში, პოლიტიკურად ჩვენი მხარდამჭერი ამერიკის შეერთებული შტატები უფრო იყო. საგარეო ფაქტორის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა. ევროპის ქვეყნები უფრო ერევანს, მაგალითად, კონგოს ან კამერუნის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში, ვიდრე საქართველოში. ევროპის პოლიტიკა დღესაც ასეთი ფრთხილია, თუმცა, მათი გააქტიურება, ჩემი აზრით, სასურველი იქნებოდა.

ნინია კაკაბაძე, ჟურნალისტი – ბატონმა ნიკამ ბრძანა, რომ მათი პარტია არის ევროპაზე ორიენტირებული. ვიცით, რომ ევროპაში არა მარტო დემოკრატია, არამედ ლიბერალური ღირებულებებიც ძალიან ფასობს. ბატონი ნიკა წარმოადგენს პარტიას, რომელიც ომბუდსმენის ადგილზე ასახელებდა კანდიდატს, რომელიც ამბობდა, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები კანონით უნდა ისჯებოდნენ.

გავიხსენებ ჰაინრიხ ბიოლის ფონდში ადრე გამართულ დისკუსიას, რომელზეც მომხსენებელმა ფილოსოფოსმა გიორგი მაისურაძემ თქვა, რომ ქართული საზოგადოება არ არის მზად ლიბერალური ღირებულებების მისაღებად. მე ვეთანხმები მას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ უმცირესობებთან დამოკიდებულებას. მაინტერესებს, როგორია თქვენი პარტიის პოლიტიკა. ნებისმიერი უმცირესობის უფლებების დაცვის სწავლაც ევროპასთან ინტეგრაციის ერთ-ერთი ნაწილია.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – ნებისმიერი უმცირესობის უფლებები დაცული უნდა იყოს. არანაირი ფორმით არ უნდა ხდებოდეს უმცირესობების უფლებების შეზღუდვა. ეს არის ჩვენი პარტიის პოლიტიკა და ასახულია ჩვენს პროგრამაშიც, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებში განთავსდება ჩვენს ვებ-გვერდზე.

თუ ჩემი პირადი აზრი გაინტერესებთ ამ საკითხის მიმართ, მე ვფიქრობ, რომ არა ვარ ჰომოფობი. შეიძლება ითქვას, რომ ჰომონეგატივისტი ვარ. მაქვს რადიკალური ინტელექტუალური მიუღებლობა ჰომოსექსუალიზმის მიმართ, თუმცა ამ მიუღებლობას არ ახლავს ემოციურ-რელიგიურ-მორალური სარჩული.

ნინია კაკაბაძე – როგორ ფიქრობთ, ჰომოსექსუალები თანასწორი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ თუ არა ჩვენს ქვეყანაში?

ნიკოლოზ ლალიაშვილი – ყველა ადამიანი თანასწორი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. რაც შეეხება ომბუდსმენობის კანდიდატს, ის არ ყოფილა მხოლოდ ჩვენი პარტიის მიერ დასახელებული, ის საპარლამენტო უმცირესობის მიერ კონსენსუსით შეირჩა.

ლალი ბერდენავა – რას გულისხმობთ ქართულ დომინანტურ კულტურაში? საბჭოთა კავშირის რეალობაში დომინანტური იყო სოცრეალიზმი, დღევანდელი ქართული დომინანტური კულტურა რა არის?

ნიკოლოზ ლალიაშვილი – სამწუხაროდ, დღევანდელი დომინანტური კულტურის მაგალითია ბათუმის ბულვარში დამონტაჟებული, სოცრეალიზმის სტილში შესრულებული, შუმის ქანდაკებები, რომელზეც დაიხარჯა ორი მილიონი დოლარი. მაშინ როცა აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამოყოფილი იყო 1 მილიონ 400 ათასი. დღესვე ქართულ დომინანტურ კულტურად შეიძლება ჩაითვალოს ის მუსიკოსები, რომლებიც პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის მიმართ ძალიან კარგად არიან განწყობილები.

ზურაბ ქარუმიძე – ქართული კულტურის დომინანტად, ტრადიციულად ითვლებოდა მსუბუქი თრობის კულტურა. ეს არის ყველაფრის ზედაპირული ხედვის კულტურა. ამასწინათ ამოვიკითხე ოსიპ მანდელშტამის წერილში, რომელშიც ის შესანიშნავად ახასიათებს ქართულ კულტურას: „Я бы причислил грузинскую культуру к типу культур орнаментальных . Окаймляя огромную и законченную область чужого, они впитывают в себя главным образом его узор, в то же время ожесточенно сопротивляясь внутренне враждебной сути могущественных соседних областей.“ ეს სიტყვები არის სტატიიდან „Кое-что о грузинском искусстве“, და ძალიან კარგად გადმოსცემს იმას, რაც მე არაერთხელ მითქვამს, ქართველები ესთეტიკური ერი ვართ და არა ეთიკური და რელიგიური. აი, ეს მსუბუქი თრობის მომენტი, რომელიც ყოველთვის იყო ქართულ კულტურაში, ეს ესთეტიზმი ბოლო წლებში დაიკარგა და ქართული კულტურის დომინანტად იქცა პოლიტიკური აგრესია.

დავით დარჩიაშვილი – ჩემი აზრით, არასწორი იქნება იმაზე ვილაპარაკოთ, რა გვაქვს სოცრეალიზმის სანაცვლოდ. სოცრეალიზმი, როგორც მახსოვს, იყო „ცეკას“ მიერ ორგანიზებული სტილი, მიმართულება და იდეოლოგია. ამის ნაცვლად რა უნდა გვქონდეს? მართალია, ხელისუფლებას რაღაც შენობები მოსწონს, ეს გემოვნების საკითხია. ნაპოლეონ მე-3-ის მიერ აშენებულ სასახლეებზე პარიზში მაშინაც დაობენ და ახლაც დაობენ, მაგრამ ეს არ ყოფილა საფრანგეთის დომინანტური კულტურა.

ხელისუფლების მხრიდან თუ რამეზე იყო აქცენტი, ეს იყო პატრიოტიზმის თემატიკა. ვიმეორებ, მისი გამოხატულება შეიძლება მოგვეწონოს ან არ მოგვეწონოს, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან არასოდეს არ ყოფილა თავისმოხვევა ლიტერატურული კონკურსების დროს პრემიების გადასაწილებასზე. ეს არის თავისუფალი ბაზარი, სადაც რა ტენდენციები გაიმარჯვებს, ამაზე ბატონმა ზურაბმა უნდა ისაუბროს, იმიტომ რომ ის ლიტერატურის კრიტიკოსია და თვითონ არის მწერალი.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – ბატონო დავით, ყოველივე იმას – „პატრიოტებს“, პატრიოტულ-მილიტარისტულ კლიპებს, ამ ერთობლიობას, სიგიჟეს და ბოდვას – ვუწოდებთ ჩვენ სოცრეალიზმს.

დავით დარჩიაშვილი – ბატონებო, ასეთი სიტყვებით ოპერირება ნამდვილად არ უწყობს ხელს ჩვენი საერთო კულტურის განვითარებას.

სანდრო თარხან-მოურავი – რამდენად ევროპულია თავად არქიტექტურული პოლიტიკის ფორმირების პროცესი? მაგალითად, რატომ დაიდგა წმინდა გიორგის ქანდაკება, რატომ მოოქროვდა სამების გუმბათი. ამ გადაწყვეტილებების მიღების ალგორითმი როგორია?

ასევე მაინტერესებს თქვენი აზრი, მოგწონთ თუ არა სამების ეკლესიის ნაგებობა არქიტექტურული თვალსაზრისით.

ზურაბ ქარუმიძე – არქიტექტურის თემა არ არის უადგილო ამ შემთხვევაში.

არქიტექტურა პოლიტიკის ძლიერი იარაღია. შეიძლება ვისაუბროთ სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმების მიერ შექმნილ არქიტექტურაზე და ეს არის, ფაქტობრივად, პოლიტიკური რეჟიმის სახე. ძალიან საინტერესო არქიტექტურას ქმნიდნენ ხშირად ავტორიტარული რეჟიმები. მუსოლინის დროინდელი არქიტექტურა ახლაც შესანიშნავი სანახავია, რასაც ვერ ვიტყვით სტალინურ არქიტექტურაზე. თუმცა, აქაც ვხვდებით საინტერესო რაღაცეებს.

როგორც ჩანს, არ არსებობს ჩვენი ქალაქის არც ურბანული და არც არქიტექტურის განვითარების კონცეფცია. რაც შეეხება წმინდა გიორგის ქანდაკებას, ეს იყო წმინდა კოსმოგონიურ-მითოპოეტური აქტი, რომ 23 ნოემბრიდან დაიწყო ქაოსის გადაქცევა კოსმოსად. როგორც წესი, კოსმოგონიაში უნდა შეიქმნას ღერძი, „აქსის მუხლი“, ცისა და მიწის დამაკავშირებელი, რომლის ირგვლივაც იქმნება კოსმოსი. მეტსაც გეტყვით, პირველივე დღეებში, როდესაც გადაჭრეს ხეები რუსთაველის გამზირზე, ეს იყო კასტრაციის სუბლიმაცია, მოხდა მამის კასტრირება და შვილებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება.

სამების ტაძარი ქართული საეკლესიო არქიტექტურის არც ერთ ელემენტს არ შეიცავს. ეს არ არის ქართული საეკლესიო არქიტექტურის ნიმუში.

დავით დარჩიაშვილი – ცოტა ხნის წინ ბატონმა ნიკამ ბრძანა, რომ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, ვინც ეკლესიასთან კარგ ურთიერთობას ცდილობენ, და ისინი, ვინც ებრძვიან. რაღაც რეალობა რომ ასწორო, გამარტივება, სქემატიზაცია გჭირდება, მაგრამ როცა ამ გამარტივებული სქემის ნაწილი ხარ, საკუთარ თავს ვგულისხმობ, პროტესტის განცდა მიჩნდება. მე რომელ ჯგუფში ვარ? ძალიან მიყვარს პატარა ეკლესიები, განსაკუთრებით, კახეთში რომ არის. სამება არ მომწონს.

კომუნისტური პერიოდის მერე ჩვენში როდის იყო, რომ თათბირებით და გეგმებით წყდებოდა რაიმეს აშენების საკითხი, თაბუკაშვილის სახლებით დაწყებული, უფრო მონუმენტურით დამთავრებული. ეს ინერცია სამწუხაროდ, გრძელდება, თუმცა იქმნება ინსტიტუტები, რომლებსაც სჭირდება ადამიანები, რომლებიც იმუშავებენ და იტყვიან თავის სიტყვას. რაც მე ვარ პარლამენტში, ერთ-ერთი კანონი, რაც ამ თემას ეხებოდა, იყო იმ საბჭოს ფორმირება, რომელიც დაადგენს რომელ ისტორიულ და კულტურულ ძეგლს სად და როდის შეიძლება ხელი შეახო.

სრულდება ყველაფერი ისე, როგორც საჭიროა რომ სრულდებოდეს და ის კულტურა დანერგული, რომელიც არის რომში? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამას მარტო ერთი და ორი ადამიანი ვერ შეცვლის. როცა რაღაც არ მომწონებია, გულახდილად გეტყვით, იგივე ბაგრატიის ტაძართან დაკავშირებით, ხმამაღლა მითქვამს და ამას არ მოჰყოლია რაიმე რეაქცია ზედა ეშელონებიდან. პირიქით, საკითხი გაიხსნა და დაიწყო ამ თემაზე დებატები, სხვათა შორის, პარლამენტშიც. ანუ, თუ ადამიანები გამოიყენებენ საკუთარ ტრიბუნებს, ყველაფერი ცოტა სხვანაირად იქნება.

რაც შენდება რაღაცეები მომწონს, რაღაცეები არა. ძალიან მომწონს პრეზიდენტის სასახლე, გემოვნებით არის აშენებული. თუმცა ვფიქრობ, გერბი რომ ცოტა სხვა ფერის ყოფილიყო, უფრო მოუხდებოდა. მომწონს შუშის სასახლეც, რომელიც ვილაციისთვის სასაცილოა. სხვათა შორის, ახლა პირველად გაკეთდა ქალაქის განვითარების გეგმა. ასე რომ, არის პოზიტივი იმ ნეგატივთან ერთად, რომელზეც ყურადღების გამახვილება ძალიან ადვილია.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – რაც შეეხება სამების ტაძარს, მე პირადად, მომწონს, მაგრამ ეს სადაო საკითხია. მაგრამ ფაქტია, რომ ის უკვე იქცა თბილისში ადგილად, რომლის სანახავადაც ჩამოდინა ექსკურსიებზე რეგიონებიდან, იღებენ სურათებს. თუმცა, ჩემი აზრით, ძალიან გართულდა ამხელა მონუმენტური ნაგებობის საკრალურ შუაგულად გადაქცევის პროცესი. რადგან ამას დასჭირდა სხვადასხვა ტაძრებიდან სიწმინდეების, წმინდა

ნაწილების მოზიდვა, ხატების დაწერა ამ ტაძრისთვის. თუმცა სამების საკათედრო ტაძარი დღეს ასრულებს იმ დანიშნულებას, რისთვისაც იყო ის ჩაფიქრებული.

ნინო დანელია – დიდი მადლობა. ცოტა გაუგებარი დარჩა, ვართ თუ არა მზად იმისთვის, რომ გადავცუროთ ზღვა ევროპისკენ. ეს, ალბათ, ძალიან რთულად გადასაწყვეტი საკითხია და მაინც უფრო საზოგადოების მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტია, იმიტომ რომ, ვფიქრობ, რომ თუ საზოგადოება მიიღებს რაღაც გადაწყვეტილებას, პოლიტიკოსებს ისევე მოუწევთ საზოგადოებრივი კონიუნქტურის გათვალისწინება, როგორც ითვალისწინებდნენ აქამდე.